ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №27

აბაშა, 2023 წლის 19 მაისი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იპოდრომის ტერიტორიაზე მდებარე სადგომში (თავლა) სპორტული ცხენების დგომის, ვარჯიშის და კვების საფასურის განსაზღვრის თაობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის და 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იპოდრომის ტერიტორიაზე მდებარე სადგომში (თავლა) სპორტული ცხენების დგომის, ვარჯიშის და კვების ყოველთვიური საფასურის განსაზღვრის თაობაზე.
2. სადგომში (თავლა) სპორტული ცხენების დგომისთვის ყოველთვიური საფასურის თანხის ოდენობა 1 (ერთი) სული ცხენისათვის განისაზღვროს 250 (ორასორმოცდაათი) ლარით.
3. იპოდრომის ტერიტორიაზე სპორტული ცხენის ვარჯიშის საფასური თვეში 1 (ერთი) სული ცხენისათვის განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარიდან - 250 (ორასორმოცდაათი) ლარამდე.
4. სპორტული ცხენის კვების საფასური 1 (ერთი) სული ცხენისათვის განისაზღვროს თვეში 200 (ორასი) ლარიდან - 500 (ხუთასი) ლარამდე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
6. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია